

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. საპარლამენტო უმცირესობის (შემდგომში - უმცირესობა) შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და სხვა ნორმატიული აქტები.
2. უმცირესობაში გაერთიანებული პარლამენტის წევრები პარლამენტში თავის საქმიანობას წარმართავენ უმცირესობის პოლიტიკური პლატფორმის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

თავი II

უმცირესობის ძირითადი უფლებამოსილებები

მუხლი 2

უმცირესობა უფლებამოსილია:

- ა) განიხილოს და შესაბამისი დასკვნები მოამზადოს პარლამენტში შემოსულ კანონპროექტებზე, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე;
- ბ) დააყენოს მოთხოვნა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის შესახებ;
- გ) მოითხოვოს პოლიტიკური დებატების დღის დანიშვნა;
- დ) ერთი სესიის განმავლობაში ოთხჯერ ისარგებლოს ოცდაათწუთიანი გამოსვლით.

აღნიშნული საკითხი უმცირესობას შეუძლია დააყენოს საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის პროცედურისას;

ე) დაასახელოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურა;

ვ) რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაასახელოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურა;

ზ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად დაასახელოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურა;

თ) სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენოს ახალი კომიტეტის შექმნის საკითხი;

ი) დაასახელოს კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურა;

კ) დაასახელოს კომიტეტის თავმჯდომარის ერთი მოადგილის კანდიდატურა;

ლ) დაასახელოს დროებითი საგამომიებო კომისიისა და დროებითი კომისიის თავმჯდომარეების კანდიდატურები;

მ) პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრული პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დაცვით დროებითი საგამომიებო კომისიის თავმჯდომარეს/დროებითი კომისიის თავმჯდომარეს წარუდგინოს დროებითი საგამომიებო კომისიის/ დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატები;

ნ) განახორციელოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება;

თავი III

უმცირესობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

მუხლი 3.

1. უმცირესობის უმაღლესი ორგანოა უმცირესობის სხდომა.

2. უმცირესობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. გადაწყვეტილება უმცირესობის ღია სხდომის გამართვის შესახებ მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით უმცირესობის ლიდერის ან უმცირესობაში გაერთიანებულ წევრთა არანაკლებ 6 წევრის მოთხოვნის საფუძველზე.

3. უმცირესობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ. საჭიროებისამებრ უმცირესობის სხდომის მოწვევის უფლება აქვს უმცირესობის ლიდერს საკუთარი ინიციატივით ან უმცირესობის არანაკლებ 6 წევრის წერილობითი მოთხოვნის

საფუძველზე.

4. უმცირესობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5. უმცირესობის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს უმცირესობის ლიდერი თავისი ინიციატივით ან უმცირესობის არანაკლებ 6 წევრის მოთხოვნით.

6. უმცირესობის სხდომა დღის წესრიგს ამტკიცებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისათვის (უფლებამოსილების დადგენისათვის) საჭირო ხმების ნახევრისა.

7. დღის წესრიგიდან საკითხის მოხსნის ან დღის წესრიგში ახალი საკითხის შეტანის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით.

8. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უმცირესობის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმცირესობის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

9. უმცირესობის სხდომა უფლებამოსილია:

ა) გადაწყვიტოს საპარლამენტო უმცირესობაში ფრაქციის ან ცალკეული პარლამენტის წევრის გაერთიანების ან გარიცხვის საკითხი;

ბ) შეიტანოს ცვლილებები და დამატებები უმცირესობის დებულებაში;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ უმცირესობის ერთიანი პოზიციის გამოხატვის თაობაზე;

დ) აირჩიოს უმცირესობის თანამდებობის პირები;

ე) გადაწყვიტოს უმცირესობის საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები;

ვ) რეგლამენტით დადგენილი წესით წარადგინოს კანდიდატურები პარლამენტის თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობებზე;

ზ) შეიმუშაოს უმცირესობის ბიუჯეტის ხარჯვის წესი;

თ) განახორციელოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და საქართველოს

კანონმდებლობით, ასევე ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 4

1. უმცირესობა თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უმცირესობის ლიდერს.
2. უმცირესობის ლიდერის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს უმცირესობის არანაკლებ 6 წევრს.
3. უმცირესობის ლიდერი:
 - ა) ხელმძღვანელობს უმცირესობის საქმიანობას;
 - ბ) წარმოადგენს უმცირესობას პარლამენტში და მის გარეთ;
 - გ) იწვევს და წარმართავს უმცირესობის სხდომას;
 - დ) წარუდგენს პარლამენტის აპარატის უფროსს უმცირესობის აპარატში დასანიშნ თანამშრომელთა კანდიდატურებს;
 - ე) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. უმცირესობის ლიდერს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადადგეს უმცირესობის ლიდერის თანამდებობიდან.
5. უმცირესობა უფლებამოსილია გადააყენოს უმცირესობის ლიდერი დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას წერილობით მოითხოვს უმცირესობის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი. უმცირესობის ლიდერი ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს უმცირესობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. უმცირესობის ლიდერი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს უმცირესობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

მუხლი 5.

1. უმცირესობა თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, წევრთა უმრავლესობით ირჩევს უმცირესობის ლიდერის მოადგილეებს.
2. უმცირესობის ლიდერის მოადგილეების კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს უმცირესობის ლიდერს და უმცირესობის წევრთა 6 კაციან ჯგუფს.
3. უმცირესობის ლიდერის მოადგილე:
 - ა) უმცირესობის ლიდერის დავალებით ხელმძღვანელობს უმცირესობის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს;
 - ბ) ასრულებს უმცირესობის ლიდერის მოვალეობას მისი არყოფნისას ან მისი პირდაპირი დავალებით.
4. უმცირესობის ლიდერის მოადგილე შეიძლება გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას მოითხოვს უმცირესობის ლიდერი ან უმცირესობის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი წერილობით. უმცირესობის ლიდერი ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს უმცირესობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. უმცირესობის ლიდერის მოადგილე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს უმცირესობის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 6

1. უმცირესობა თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, წევრთა უმრავლესობით ირჩევს უმცირესობის მდივანს.
2. უმცირესობის მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს უმცირესობის ლიდერს და უმცირესობის წევრთა 6 კაციან ჯგუფს.
3. უმცირესობის მდივანი:
 - ა) ასრულებს უმცირესობის საქმიანობისთვის აუცილებელ დავალებებს;
 - ბ) ხელმძღვანელობს უმცირესობის აპარატს და შიდაორგანიზაციულ საქმიანობას;
 - გ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

4. უმცირესობის მდივანი შეიძლება გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას მოითხოვს უმცირესობის ლიდერი ან უმცირესობის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი წერილობით. უმცირესობის ლიდერი ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს უმცირესობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. უმცირესობის მდივანი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს უმცირესობის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავი IV

უმცირესობის შემადგენლობა

მუხლი 7

1. უმცირესობაში შეიძლება გაერთიანდეს ნებისმიერი ფრაქცია ან/და პარლამენტის წევრი, რომელიც იზიარებს უმცირესობის პლატფორმას.
2. უმცირესობაში გაწევრიანებისათვის ფრაქცია ან/და პარლამენტის წევრი განცხადებით მიმართავს უმცირესობის ლიდერს, რომელსაც აღნიშნული საკითხი შეაქვს უმცირესობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.
3. უმცირესობაში ფრაქციის ან პარლამენტის წევრის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმცირესობის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. უმცირესობის წევრი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას უმცირესობის პოლიტიკური პლატფორმა და დებულება;
 - ბ) დაიცვას უმცირესობის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და უმცირესობის ლიდერის მითითებები;
 - გ) არ განახორციელოს უმცირესობის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო ქმედება.
5. პარლამენტის წევრი ან/და ფრაქცია უფლებამოსილია რეგლამენტით დადგენილი წესით გავიდეს უმცირესობის შემადგენლობიდან.
6. უმცირესობას უფლება აქვს სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს

გადაწყვეტილება თავისი შემადგენლობიდან უმცირესობის წევრის გარიცხვის შესახებ, თუ:

- ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება უმცირესობის პოლიტიკურ პლატფორმას;
- ბ) განზახ ან არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არღვევს უმცირესობის დებულების მოთხოვნებს;
- გ) არ ასრულებს უმცირესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

7. უმცირესობის წევრის უმცირესობიდან გარიცხვის მოთხოვნის უფლება აქვს უმცირესობის ლიდერს ან უმცირესობის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. უმცირესობის წევრი გარიცხულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს უმცირესობის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. უმცირესობიდან უმცირესობის წევრის გარიცხვის მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.

თავი V

უმცირესობის დებულების გადასინჯვა

მუხლი 8

1. უმცირესობის დებულების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის მოთხოვნის უფლება აქვს უმცირესობის ლიდერს, უმცირესობის არანაკლებ 6 წევრს.
2. უმცირესობის ლიდერი ვალდებულია უზრუნველყოს დებულების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტის უმცირესობის ყველა წევრისთვის გაცნობა და საკითხის დაყენებიდან 2 კვირის ვადაში უზრუნველყოს მისი შეტანა უმცირესობის სხდომის დღის წესრიგში.
3. უმცირესობის დებულების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ მას მხარს დაუჭერს უმცირესობის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავი VI

უმცირესობის გაუქმება

მუხლი 9

უმცირესობა გაუქმებულად ჩაითვლება, თუ უმცირესობიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩება პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ პარლამენტის წევრთა რაოდენობაზე ნაკლები.